

## დანართი 1

### ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება

#### თავი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. ეს დებულება აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (ტექსტში შემდგომ „ფაკულტეტი“) სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესს საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ „თსუ“) აკადემიური საბჭოს დადგენილების „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ“ შესაბამისად.
- 1.2. ეს დებულება აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირების ნორმებსა და პროცედურებს.

#### თავი 2. დოქტორანტურა

- 2.1. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ტ" ქვეპუნქტის თანახმად, დოქტორანტურა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურს, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობას. დოქტორანტურის მთავარი მიზანია პროფესიული მოღვაწეობის შესაბამისი სფეროების მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადება, რომლებსაც შესწევთ უნარი: შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი სამეცნიერო გამოცდილება და მიღებული სამეცნიერო შედეგები გაავრცელონ პუბლიკაციების მეშვეობით, ასევე სასწავლო პროცესში და პრაქტიკაში მათი დანერგვის გზით.
- 2.2. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.
- 2.3. დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.
- 2.4. დოქტორი უმაღლესი აკადემიური ხარისხია, რომელიც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება დისერტაციის დაცვის შემდეგ.

#### თავი 3. დოქტორანტურის პროგრამა და კომპონენტები

##### მუხლი 3.1. სადოქტორო პროგრამა

- 3.1.1. სადოქტორო პროგრამას განიხილავს ფაკულტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დასამტკიცებლად წარედგინება თსუ აკადემიურ საბჭოს.
- 3.1.2. სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება:
  - ფაკულტეტის ერთი ან რამდენიმე პროფესორის მიერ;
  - უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტთან ერთად;
  - პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად;
  - სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთად – უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის დადებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

##### მუხლი 3.2. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

3.2.1. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს (თანახელმძღვანელობს) თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი.

3.2.2. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელით, ადასტურებს მის შესაბამისობას სადოქტორო თემასთან, აგრეთვე, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის საკითხს განსახილველად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს სპეციალიზებულ სექციას.

3.2.3. სამეცნიერო ხელმძღვანელთან დაკავშირებით სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს წერილობით ცნობას სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე იმის შესახებ, რომ დოქტორანტის ხელმძღვანელობის კანდიდატი აკმაყოფილებს სამეცნიერო ხელმძღვანელისადმი დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ:

- შეესაბამება სადოქტორო თემის პრობლემატიკას.
- მოცემულ მომენტში ჰყავს მაქსიმუმ 4 დოქტორანტი.
- თანახმაა გასწიოს სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

3.2.4. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს სპეციალიზებული სექციის დებულებით განსაზღვრული ოქმები.

### მუხლი 3.3. დოქტორანტურის კომპონენტები

3.3.1. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. დოქტორანტმა უნდა შეასრულოს 180 კრედიტი: სადისერტაციო თემის შესრულება განისაზღვრება 120-140 კრედიტით, ხოლო დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი განისაზღვრება 40-დან 60 კრედიტამდე (სასწავლო კომპონენტი შეადგენს კრედიტების საერთო რაოდენობის დაახლოებით 1/3, დანარჩენი 2/3 ეთმობა კვლევას).

3.3.2. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიაზრებს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებაში, აგრეთვე, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

3.3.2.1. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სალექციო კურსებსა და აქტივობებს:

|   |              |
|---|--------------|
| სწავლების თანამედროვე მეთოდები  | 5-15 კრედიტი |
| კვლევის მეთოდები  | 5-15 კრედიტი |
| მეცნიერების მენეჯმენტი  | 5 კრედიტი    |
| საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები   | 5-30 კრედიტი |
| პრაქტიკა  | 5-10 კრედიტი |
| საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსმენილი სასწავლო კურსი | 5-15 კრედიტი |
| უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი          | 5-60 კრედიტი |
| პროფესორის ასისტენტობა  | 5-30 კრედიტი |
| აკადემიური წერა   | 5 კრედიტი    |
| სპეციფიკური დარგობრივი კურსები  | 5-15 კრედიტი |
| დოქტორანტის I კოლოკვიუმი  | 5-10 კრედიტი |

|                          |              |
|--------------------------|--------------|
| დოქტორანტი II კოლოკვიუმი | 5-10 კრედიტი |
| სხვა                     |              |

სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან თსუ-ს ყველა დოქტორანტისათვის სავალდებულოა: სწავლების თანამედროვე მეთოდები (არანაკლებ 5 კრედიტისა), პროფესორის ასისტენტობა (არანაკლებ 5 კრედიტისა), დოქტორანტის 2 კოლოკვიუმი (არანაკლებ 10 კრედიტისა) (სულ: 20 კრედიტი).

3.3.2.2. სასწავლო კომპონენტის შინაარსობრივი სტრუქტურა განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით. სასწავლო კომპონენტების შერჩევა ხდება პროგრამის ფარგლებში მოსამზადებელი დისერტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე.

3.3.2.3. თსუ-ს ყველა დოქტორანტისათვის სავალდებულო სწავლების ელემენტებთან ერთად (თანამედროვე მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა, დოქტორანტის 2 კოლოკვიუმი).

3.3.2.4. სასწავლო კომპონენტის კოლოკვიუმი მოიცავს მოხსენებებს ფაკულტეტის სადოქტორო სემინარზე, სადაც დოქტორანტს შეუძლია წარსდგეს მოხსენებით მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ მეცნიერული პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე, აგრეთვე წარადგინოს კვლევის შედეგები, ახალი სამეცნიერო ლიტერატურის, მიღწევების და პრობლემების ანალიტიკური განხილვა. დოქტორანტურაში სწავლის მანძილზე დოქტორანტი სემინარზე მოხსენებით წარდგება ორჯერ.

3.3.3. დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

- დისერტაციის ანუ სამეცნიერო ნაშრომის შესრულებას (105-125 კრედიტი).
- პრეზენტაციებს სადისერტაციო ნაშრომის გარშემო პრეზენტაციების საფაკულტეტო სქემის შესაბამისად.
  - პრეზენტაციების საფაკულტეტო სქემა მოიცავს: 1). საკვლევი პრობლემის დასმას, აგრეთვე მის ასახვას სამეცნიერო ლიტერატურაში; 2). კვლევით პროექტს (მომავალი სადისერტაციო შრომის ზოგადი სტრუქტურა მეთოდოლოგიის ჩათვლით), 3). კვლევის შედეგებსა და ანალიზს.

3.3.3.1. დოქტორანტი ვალდებულია წარსდგეს პრეზენტაციით სპეციალიზებული სექციის სხდომაზე წელიწადში ერთხელ მაინც. თითოეულ პრეზენტაციას მიენიჭება კვლევითი კომპონენტის 5 კრედიტი (15 კრედიტი).

### მუხლი 3.4. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა

3.4.1. დოქტორანტი სასწავლო კომპონენტის საერთო საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სქემის ფარგლებში თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან (თანახელმძღვანელთან) შეთანხმებით თავად ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმას.

- სწავლის დასაწყისში დოქტორანტი ადგენს ინდივიდუალურ *კვლევით* გეგმას, რომელშიც მოცემულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო გრაფიკი. შევსებულ სპეციალურ ფორმას

(ფორმა 2) იგი წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, **სასწავლო** კომპონენტის დასრულების შემდეგ დოქტორანტი შევსებულ სპეციალურ ფორმას (ფორმა 1) და მის თანდართულ დოკუმენტაციას წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, რომელიც სადისერტაციო საბჭოს ოფიციალურად აცნობებს დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის შესრულების შესახებ.

3.4.2. წარსადგენი ინდივიდუალური გეგმის ძირითადი პუნქტები (კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების სავარაუდო გრაფიკი) განიხილება სპეციალიზებული სექციის სხდომაზე ჩარიცხვიდან ერთი თვის განმავლობაში და ხელშეკრულებასთან ერთად წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.

3.4.3. სადოქტორო თემის დაზუსტებული სათაური წარმოდგენილ უნდა იქნეს დოქტორანტურაში სწავლის ოთხი სემესტრის დასრულებამდე.

3.4.4. სადოქტორო თემის შეცვლა დასაშვებია 4 სემესტრის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭოს სპეციალიზებული სექცია განიხილავს სადოქტორო თემის შეცვლის საკითხს და ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომელიც ასახულია სხდომის ოქმში. ოქმი წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.

3.4.5. დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში.

### **მუხლი 3.5. დოქტორანტურაში ჩაბარების ვადები.**

დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისთვის.

### **მუხლი 3.6. დოქტორანტურის ხანგრძლივობა**

დოქტორანტურის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 5 წელი.

## **თავი 4. დოქტორანტურაში მიღების წესი**

### **მუხლი 4.1. დოქტორანტურაში მიღების წინაპირობები**

4.1.1. დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

4.1.2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს "საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ" 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

4.1.3. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება მხოლოდ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

4.1.4. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს დებულებით გათვალისწინებულ საბუთებს და გადის გასაუბრებაზე სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი წესით, დარგობრივ მიმღებ კომისიასთან.

4.1.5. დოქტორანტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევაში.

4.1.6. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (გერმანული, ინგლისური ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.

4.1.7. დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და ქართული მისი მშობლიური ენა არ არის, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

4.1.8. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადგენილებით და სადოქტორო პროგრამებით შეიძლება დადგენილ იქნეს დამატებითი მოთხოვნები.

#### **მუხლი 4.2. სადისერტაციო საბჭოს მიმღები დარგობრივი კომისიები**

4.2.1. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ერთჯერადად ქმნის დარგობრივ მიმღებ კომისიებს შესაბამისი მიმართულების პროფესორების შემადგენლობით.

4.2.2. სადისერტაციო საბჭოს მიმღები კომისიის რიცხოვრივი შემადგენლობა განისაზღვრება სამი/ხუთი წარმომადგენლისაგან. მიმღები კომისიის თავმჯდომარე და მდივანი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში არჩევითია.

4.2.3. დარგობრივ მიმღებ კომისიას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

4.2.4. დარგობრივი მიმღები კომისია წარმოადგენს ამონაწერს სხდომის ოქმიდან დოქტორანტის სადოქტორო პროგრამაზე მიღების გადაწყვეტილების შესახებ. გადაწყვეტილება ძალაშია, თუკი სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის შემადგენლობის უბრალო უმრავლესობა.

#### **მუხლი 4.3. დოქტორანტურაში ჩარიცხვა**

4.3.1. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს წერილობითი განაცხადი შეაქვს რექტორის სახელზე (დანართი 1).

თან უნდა ერთვოდეს:

- დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველის ავტობიოგრაფია ნარატივის ფორმით.
- სარეკომენდაციო წერილი (პროფესორი ან ასოც/პროფესორი, ან რეკომენდატორი სამუშაო ადგილიდან). თსუ აკადემიური პერსონალის მიერ გაცემული რეკომენდაცია დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით. ყველა სხვა შემთხვევაში რეკომენდაცია დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ორგანიზაციის ბეჭდით.
- მაგისტრის (ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი
- პირადობის მოწმობის ასლი
- უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდის დამადასტურებელი მოწმობა ასლთან ერთად ან უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ასლთან ერთად.
- სამოტივაციო წერილი. (დანართი 2).

4.3.2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსთან შექმნილ შესაბამის დარგობრივ მიმღებ კომისიასთან გაივლის გასაუბრებას მიწოდებული სტანდარტის შესაბამისად (იხ. დანართი).

4.3.3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიმღები დარგობრივი კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინებით, გამოსცემს დოქტორანტურაში კანდიდატის დოქტორანტად ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. გადაწყვეტილება ეცნობება თსუ-ს სასწავლო დეპარტამენტს; ბრძანების ერთი ასლი გადაეცემა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს.

4.3.4. უნივერსიტეტი, დოქტორანტი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ჩარიცხვიდან მაქსიმუმ ორ თვეში ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის ვალდებულებებსა და უფლებებს, აგრეთვე ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურების პირობებს. ხელშეკრულების ნაწილია დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის საწყისი ვარიანტი (იხ. დებულების მუხლი 3.4.2.).

#### **მუხლი 4.4. დოქტორანტის ხელმძღვანელი**

4.4.1. დისერტაციის ხელმძღვანელი არის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

4.4.2. დისერტაციის ხელმძღვანელი, აგრეთვე, შეიძლება იყოს უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის პროფესორი ან ასოც. პროფესორი.

4.4.3. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ თსუ-ში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს უარს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე. ასეთ შემთხვევაში იგი მოწვეული უნდა იქნეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრად.

4.4.4. მოწვეული სპეციალისტების საბჭოში გაწევრიანებას ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

4.4.5 დისერტაციის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხვა წევრი, აგრეთვე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

4.4.6. დისერტაციის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტის ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში.

4.4.7. სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს მოქმედი მკვლევარი და უნდა ჰქონდეს კვლევის გამოცდილება დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში.

4.4.8. ერთი პროფესორი ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს 5 დოქტორანტის ხელმძღვანელი.

4.4.9 სამეცნიერო ხელმძღვანელი დამტკიცების შემდეგ სადისერტაციო საბჭოს სამდივნოში წარადგენს თავის CV-სა და გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხას.

4.4.10. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ღებულობს გადაწყვეტილებას დოქტორანტსა და არსებულ ხელმძღვანელს შორის მოქმედი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, აგრეთვე, ახლად წარდგენილი სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა რაოდენობის უბრალო უმრავლესობით. ახალ ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი წარედგინება სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს.

4.4.11. სამეცნიერო ხელმძღვანელი აკონტროლებს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას.

4.4.12. დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი სპეციალიზებულ სექციას წარუდგენს დისერტაციის შემფასებელთა კანდიდატურებს, აგრეთვე, სადისერტაციო კომისიის სავარაუდო და სათადარიგო შემადგენლობას.

#### **მუხლი 4.5. უნივერსიტეტის მოვალეობა დოქტორანტის წინაშე**

ოსუ უზრუნველყოფს:

- დოქტორანტის კვლევისათვის საჭირო მატერიალურ პირობებს (კომპიუტერი, ინტერნეტ-კავშირი, ბიბლიოთეკა და ა.შ.) და სათანადო სამეცნიერო გარემოს (პროფესიონალ მკვლევარებთან ურთიერთობის შესაძლებლობას);
- დოქტორანტის მონაწილეობას ოსუ სასწავლო პროცესში.

#### **მუხლი 4.6. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა**

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება დოქტორანტის სტატუსი შეუწყდეს:

- პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
- უნივერსიტეტს, დოქტორანტსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას;
- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

#### **მუხლი 4.7. დოქტორანტურის დაფინანსება**

დოქტორანტურის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, ქველმოქმედებისა და თვითდაფინანსების ფორმით.

#### **თავი 5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო**

##### **მუხლი 5.1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო**

5.1.1 ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო (ტექსტში “სადისერტაციო საბჭო”) შედგება ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან. აგრეთვე ფაკულტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ ფაკულტეტზე მომუშავე დოქტორის აკადემიური ხარისხის 10 წლის სტაჟის მქონე ასისტენტ-პროფესორები.

5.1.2. სადისერტაციო საბჭო თავის უფლებამოსილებას განახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, ოსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებების, ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების საფუძველზე. ფაკულტეტის საბჭო შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს ოსუ აკადემიური საბჭოს.

5.1.3. სადისერტაციო საბჭო შედგება სპეცილიზებული სექციებისაგან, რომელშიც ერთიანდებიან საბჭოს წევრი შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

5.1.4. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სადისერტაციო საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის 30%-ზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების, სულ მცირე, 2/3, გარდა 5.1.5 მუხლში აღნიშნული შემთხვევისა. გადაწყვეტილებები მიიღება ფარული კენჭისყრით.

5.1.5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს 2 წლის ვადით.

5.1.6. სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას საარჩევნოდ წარადგენს სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარე.

5.1.7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე სხდომას უძღვება ფაკულტეტის

დეკანი.

საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

5.1.8. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, მოიწვიოს საბჭოს სხდომები. სადისერტაციო საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, მოიწვიოს საბჭოს რიგგარეშე სხდომა.

5.1.9. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს საქმიანობას წარმართავს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

5.10. სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირების ადმინისტრირებაში მონაწილეობს სადისერტაციო საბჭოს სპეციალისტი.

## **მუხლი 5.2. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება**

### **5.2.1. სადისერტაციო საბჭო:**

- ირჩევს და ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარეს;
- ირჩევს და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს;
- ადგენს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სფეროსთვის ადეკვატური სამეცნიერო პერიოდიკის აკადემიური დონის შესაფასებელ კრიტერიუმებს.
- ადგენს საჯარო დაცვის პროცესის შესაბამის ეთიკურ ნორმებს.
- განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის ზღვრულ მოცულობას, სავარაუდო ფორმატს და სხვა ტექნიკურ მონაცემებს და ადგენს დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებს.
- ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის თემას.
- ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.
  - ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს (რეცენზენტებს);
  - ამტკიცებს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას;
  - ამტკიცებს დაცვის თარიღს;
  - ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

### **5.2.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის უფლებამოსილება**

#### **5.2.2.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:**

- უზრუნველყოფს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებას ფაკულტეტის დებულების საფუძველზე. პასუხისმგებელია სადისერტაციო საბჭოს საქმიანობაზე.
- უზრუნველყოფს საბჭოს ფუნქციონირებისთვის საჭირო ნორმატიული და სამოქმედო დოკუმენტების შემუშავებას, დაზუსტებასა და სრულყოფას.
- ახორციელებს კოორდინაციას უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.
- ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოში საქმის წარმოებას;
- იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს.
- პასუხისმგებელია დისერტაციის დაცვის პროცედურების ორგანიზებასა და მისი შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე.
- სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიური შესრულებული საქმიანობის ანგარიშს.
- უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

### **5.2.2.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:**

- მონაწილეობს საბჭოს ფუნქციონირებისთვის საჭირო ნორმატიული და სამოქმედო დოკუმენტების შემუშავებასა, დაზუსტებასა და სრულყოფაში.
- უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის დროულ და შეუფერხებელ წარმოებას უნივერსიტეტში საქმის წარმოების ერთიანი წესების შესაბამისად;
- პასუხისმგებელია სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებისა და სხვა, სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოებაზე.
- ამოწმებს დისერტანტის მიერ წარდგენილი სამეცნიერო გამოცემების შესაბამისობას სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან
- ხელმძღვანელობს საბჭოს არქივის წარმოებას;
- ეხმარება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.
- წარმართავს საბჭოს საქმიანობას თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში და უძღვება საბჭოს სხდომებს.

### **5.2.2.3. სადისერტაციო საბჭოს სპეციალისტი:**

- ტექნიკურად უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადებას, მიღებას, დაარქივებასა და შენახვას.
- კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში.

## **მუხლი 5.3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სპეციალიზებული სექციები**

5.3.1. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში ფუნქციონირებს სპეციალიზებული სექციები, რომლებშიც ერთიანდებიან საბჭოს წევრი შესაბამისი დარგის სპეციალისტები, აგრეთვე, სადოქტორო პროგრამისა და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელები.

5.3.2. სპეციალიზებული სექცია იქმნება ორი წლის ვადით კონკრეტული მიმართულების ბაზაზე და შედგება მუდმივმოქმედი, სულ მცირე, ხუთი პროფესორისგან (სადოქტორო პროგრამისა და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელების ჩათვლით). საჭიროების შემთხვევაში მისი შემადგენლობა ფართოვდება.

5.3.3. სპეციალიზებული სექციის წევრები თავისი შემადგენლობიდან ყოველ სხდომაზე ირჩევენ სხდომის თავმჯდომარესა და მდივანს. სადისერტაციო საბჭოს სპეციალიზებული სექციის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

5.3.4. სადისერტაციო საბჭოს სპეციალიზებული სექცია უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების 4/5.

5.3.5. ერთი პროფესორი შეიძლება ერთდროულად იყოს ორი სპეციალიზებული სექციის წევრი.

5.3.6. სპეციალიზებული სექცია იკრიბება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ან დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მოთხოვნით.

#### **მუხლი 5.4. სადისერტაციო საბჭოს სპეციალიზებული სექციის უფლებამოსილება:**

- განიხილავს დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას.
- განიხილავს სადისერტაციოდ წარდგენილი თემების აქტუალობას, მონაწილეობს თემის სათაურის დაზუსტების პროცესში და დასამტკიცებლად შუამდგომლობს სადისერტაციო საბჭოს წინაშე.
- შეიმუშავებს დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის (პრეზენტაციების) შესაფასებელ კრიტერიუმებს.
- კვლევითი კომპონენტის საფაკულტეტო სქემის შესაბამისად აფასებს და უწევს ექსპერტიზას დოქტორანტის მიერ შესრულებულ საქმიანობას.
- სექციის წევრები ვალდებული არიან პრეზენტაციის ექსპერტიზის შედეგები და შესაბამისი რეკომენდაციები ასახონ წერილობით.
- პრეზენტაციების მიმდინარე შეფასებები წარმოადგენს სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის მიღების წინაპირობას.
- განიხილავს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილ სამეცნიერო ხელმძღვანელობის კანდიდატს, აგრეთვე სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხებს და დასამტკიცებლად შუამდგომლობს სადისერტაციო საბჭოს წინაშე.
- კონკრეტული დისერტაციის დასრულების შემთხვევაში სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელსა და თემის ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს:
  - 1) სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების (რეცენზენტის) კანდიდატურებს; ადგენს დარგის უცხოელი შემფასებლების სავარაუდო სიას და გადასცემს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების განყოფილებას.
  - 2) სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას - სავარაუდო და სათადარიგო კანდიდატურებს.
  - 3) საბჭოში დისერტაციის დოკუმენტაციის მიღებიდან ორი კვირის ფარგლებში სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს ოქმს, რომელშიც ასახულია:
    - ნაშრომის შემფასებლების კანდიდატურები;
    - სადისერტაციო კომისიის სრული და სათადარიგო შემადგენლობა;
    - შუამდგომლობა სადისერტაციო საბჭოს წინაშე მათი დამტკიცების შესახებ.

#### **თავი 6. დისერტაციის წარდგენა და დაცვა;**

##### **მუხლი 6.1. დისერტაცია**

6.1.1. დისერტაცია წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შექმნილ სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც საფუძვლად უდევს მოპოვებული ახალი ცოდნა და, რომელიც მოწოდებულია წვლილი შეიტანოს შესაბამისი სამეცნიერო დარგის განვითარებაში. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი კვლევისას.

6.1.2. დისერტაცია სრულდება ქართულ ენაზე.

6.1.3. სადისერტაციო საბჭოს ნებართვით დასაშვებია დისერტაციის უცხო ენაზე შესრულება და დაცვა. ასეთ შემთხვევაში:

- სადისერტაციო ნაშრომისა და უცხო ენის სტატუსით ჩაბარებული ენა განსხვავებულია.

- დისერტაციის შემოკლებული ვერსია შესრულებულია ქართულ ენაზე (დისერტაციის მოცულობის არანაკლებ ნახევრისა).

6.1.4. სადისერტაციო ნაშრომის ზომას, ფორმატს და სტილს განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობაა –120-დან 200 გვერდამდე. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია დანართი (ინდექსი, ტექსტები და ა. შ). ფურცლის ზომა A4, შრიფტი სახეობა - AcadNusx-ი, შრიფტის ზომა – 12. სტრიქონებს შორის მანძილი 1,5; გვერდის საზღვრები მარცხნიდან 3 სმ, ზემოდან და ქვემოდან 2.5 სმ, მარჯვნიდან 1,5 სმ. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი (ციტირება და ლიტერატურის მითითება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პუბლიკაციების სტილით ან APA სტილით).

## **მუხლი 6.2. დისერტაციის წარდგენა.**

6.2.1. სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის აუცილებელი წინაპირობაა დისერტაციის მომზადების ყველა ეტაპზე შესაბამისი სპეციალიზებული სექციის ექსპერტული დასკვნები.

6.2.2. დისერტაციის წარდგენასთან დაკავშირებულ დამატებით მოთხოვნებს ადგენს სპეციალიზებული სექცია მინიმალურ სტანდარტში ასახული დოქტორანტურის ინტერნაციონალიზაციის პრინციპების შესაბამისად (იხ. მინიმალური სტანდარტი; პუნქტი 10. 4).

6.2.3. დისერტაციის საერთაშორისო რეცენზირებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების განყოფილება თსუ საერთო-საუნივერსიტეტო წესით. პუბლიკაციის საერთაშორისო რეცენზირება ხდება იმავე წესით.

6.2.4. სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს დოქტორანტი გადასცემს ქართულ ენაზე დისერტაციის 4, ხოლო უცხო ენაზე – 1 ეგზემპლარს აკინძული სახით, აგრეთვე, მათ ელექტრონულ ვერსიებს სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სტანდარტების დაცვით (იხ. 6.1.3.). უცხოენოვანი ვერსიის მოცულობის ფარგლებია 30-45 გვერდი.

6.2.5. სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი წარუდგენს წერილობით დასკვნას იმის თაობაზე, რომ სადისერტაციო ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.

6.2.6. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დოქტორანტის განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე.
- სპეციალიზებული სექციის სხდომის ოქმი კონკრეტული დისერტაციის დასრულების თაობაზე.
- სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული 40-60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვებისა და პრეზენტაციების შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები.
- პუბლიკაციების არსებობის შემთხვევაში მათი ამონაბეჭდი შემდეგი ფორმით: ჟურნალის თავფურცელი, სარჩევი, სტატია.
- იმ შემთხვევაში, როცა წარმოდგენილი პუბლიკაციის სამეცნიერო ღირებულება საკამათოა (საკონფერენციო მოხსენების გამოქვეყნებული ტექსტი, აგრეთვე კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებული პუბლიკაცია), ეს პუბლიკაცია ექვემდებარება დამატებით ექსპერტიზას, რომელსაც ასრულებს სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი ორი ექსპერტი, რომელთაგან ერთი მაინც მოწვეული პროფესორია. ექსპერტიზის მთავარი მოთხოვნებია ექსპერტთა ანონიმურობა და ურთიერთდამოუკიდებლობა.

6.2.7. საბჭოში დისერტაციის დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ, ორი კვირის ვადაში, სპეციალიზებული სექცია ვალდებულია წარადგინოს ოქმი, რომლითაც შუამდგომლობს

სადისერტაციო საბჭოს წინაშე, დაამტკიცოს:

- ნაშრომის შემფასებლების კანდიდატურები;
- სადისერტაციო კომისიის სავარაუდო შემადგენლობა, აგრეთვე, სათადარიგო წევრთა კანდიდატურები;
- საჭიროების შემთხვევაში დაცვის სხვა ენაზე წარმართვა.

6.2.8. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის ქირის გადახდისგან სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის მომენტიდან.

6.2.9. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შეუძლია შემოიღოს დისერტაციის წარდგენისა და დაცვის პროცედურასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები.

### **მუხლი 6.3. დისერტაციის შემფასებლები.**

6.3.1. დისერტაციის შემფასებელი შეიძლება იყოს:

- დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიმე სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი, აგრეთვე ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი.

- დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი, უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, აგრეთვე ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი.

დოქტორანტის დისერტაციის შემოკლებული ვერსიის/სტატიის რეცენზირება შეიძლება მოახდინოს აგრეთვე:

ა) თსუ-ში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში;

ბ) თსუ-ში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში (მაგალითად, DAAD-ის, Fullbright-ის სტიპენდიანტები და სხვ.).

6.3.2. შემფასებლად (რეცენზენტად) ინიშნება პირი, რომლის სამეცნიერო საქმიანობა და სამეცნიერო შრომები შეესაბამება სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკას.

6.3.3. დისერტაციას აფასებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სამი შემფასებელი. მათგან ერთი უცხოელია.

6.3.4. ექსპერტების დასკვნისათვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება რეცენზირებაზე თანხმობის მიღების დღიდან **ორი თვის ვადით**.

6.3.5. სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცება ხდება განსაზღვრული წესით (იხ.მუხლი 5.2. ).

6.3.6. შემფასებელთა მიერ წარმოდგენილი რეცენზიები ბეჭდური და ელექტრონული ფორმით გადაეცემა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის დაბრუნების, ანდა დაცვაზე უარის თქმის შესახებ.

6.3.7. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამტკიცების შემდეგ სადისერტაციო კომისიის ყველა წევრს გადაეცემა სადისერტაციო ნაშრომი და ექსპერტთა შეფასებები.

6.3.8. სადისერტაციო საბჭო ვალდებულია დოქტორანტს გადასცეს შემფასებლების დასკვნების ასლები.

6.3.9. ტექნიკური (არაკადემიური, სტანდარტების დარღვევა) ხასიათის შენიშვნების შემთხვევაში დისერტაცია დაცვაზე დაიშვება ამ შენიშვნების აღმოფხვრის დათქმით.

6.3.10. თუ შემფასებლების ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება. ასეთ შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს დისერტაციაზე დამატებით მუშაობის უფლება ეძლევა.

#### 6.4. სადისერტაციო კომისია

6.4.1. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას, სათადარიგო წევრების ჩათვლით, სადოქტორო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით განიხილავს და სადისერტაციო საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად შუამდგომლობს სპეციალიზებული სექცია.

6.4.2. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს შემფასებელთა მიერ დისერტაციაზე რეცენზიების წარდგენის შემდეგ, დისერტაციის დაცვამდე არაუაგვიანეს 30 დღისა.

6.4.3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია სათადარიგო კანდიდატურით ჩაანაცვლოს კომისიის წევრი, რომელსაც საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია დისერტაციის დაცვაზე დასწრება.

6.4.4. სადისერტაციო კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე ხუთი წარმომადგენლისაგან. სადისერტაციო კომისიის წევრთა ნახევარს მაინც შეადგენენ სადისერტაციო საბჭოს წევრები. სადისერტაციო კომისიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირი, რომელიც არ არის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

6.4.5. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა ხმათა უბრალო უმრავლესობით.

6.4.6. კომისიის თავმჯდომარე და მდივანი არ შეიძლება იყოს მოცემული დისერტაციის ხელმძღვანელი ან შემფასებელი.

6.4.7. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, თუკი ის არ არის დასაცავად წარდგენილი დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი, შეიძლება იყოს სადისერტაციო კომისიის წევრი, მაგრამ ვერ იქნება სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე.

6.4.8. დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი და თემის შემფასებლები არ არიან სადისერტაციო კომისიის წევრები, მათ შეუძლიათ მონაწილეობა სათათბირო ხმის უფლებით.

6.4.9. სადისერტაციო კომისიის წევრები ვალდებული არიან, იცნობდნენ სადისერტაციო ნაშრომს, ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ დისერტაციის შეფასებებს და დისერტაციაზე შემოსულ გამოხმაურებებს.

6.4.10. თუ დამტკიცებული სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის რომელიმე წევრი გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო ვერ ახერხებს დისერტაციის დაცვაზე დასწრებას, იგი ვალდებულია ამის შესახებ წერილობითი განაცხადით აცნობოს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს დაცვამდე ერთი კვირით ადრე მაინც. ასეთ შემთხვევაში კომისიის ეს წევრი ჩაანაცვლება სარეზერვო წევრით.

6.4.11. დისერტაცია დაცულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა კომისიის წევრთა ნახევარზე მეტმა. ნაშრომის დაცვის ხარისხი დგინდება კომისიის წევრთა კონსენსუსის საფუძველზე.

6.4.12. კომისიის გადაწყვეტილება აისახება საბოლოო დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის აღნიშვნით.

#### 6.5. საჯარო დაცვის მომზადება და დაცვა

6.5.1. დისერტაციის დაცვა ინიშნება სადისერტაციო კომისიის დამტკიცებიდან 30-40 დღის ფარგლებში.

6.5.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს ელექტრონული საშუალებებით უნდა აცნობოს საბჭოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების და შემფასებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დაცვის თარიღი.

6.5.3. დისერტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ინახება სადისერტაციო საბჭოს

არქივში. დოქტორანტს უფლება აქვს გაეცნოს მის დისერტაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

6.5.4. სადისერტაციო კომისიის სხდომას წარმართავს სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე. იგი პასუხისმგებელია კომისიის გადაწყვეტილების ამსახველ საბოლოო დასკვნაზე.

6.5.6. სადისერტაციო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურებს, აგრეთვე დაცვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სადისერტაციო საბჭოს სამდივნოსთვის გადაცემას.

6.5.7. დაცვის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს გადაეცემა დისერტაციის შეფასებები და პირადი საქმე, დაცვის ამსახველი დოკუმენტაცია (წერილობითი სახით დისერტანტის პრეზენტაციისა და რეცენზენტთა შენიშვნებზე მისი პასუხების ტექსტები, სადისერტაციო კომისიის საბოლოო დასკვნა, გამოყენებული ბიულეტენები), აგრეთვე დისერტაციის მსვლელობის აუდიოჩანაწერი.

6.5.8. დისერტაციის დაცვის რეგლამენტი განსაზღვრულია სადისერტაციო საბჭოს მიერ და მოიცავს:

- დოქტორანტისა და მისი დოკუმენტაციის წარდგენას სადისერტაციო კომისიის წინაშე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ან შესაბამისი სპეციალიზებული სექციის წარმომადგენლის მიერ;
- დოქტორანტის მოხსენებას (არა უმეტეს 20 წთ);
- კომისიის წევრების შეკითხვებს მოხსენების გარშემო;
- რეცენზიების საჯარო წაკითხვას;
- დოქტორანტის მიერ რეცენზიებში წარმოდგენილ შეკითხვებზე საჯარო პასუხის გაცემას;
- სამეცნიერო დისკუსიას;
- კომისიის დახურულ სხდომას სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად და დასკვნის გაფორმებას კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით;
- სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადებას;
- დისერტანტის საბოლოო სიტყვას.

6.5.9. დაცვის ენა არის ქართული; სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დაცვის სხვა ენაზე წარმართვის გადაწყვეტილება

6.5.10. სადისერტაციო კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.

6.5.11. სადისერტაციო კომისიის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დოქტორანტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის თაობაზე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს შედეგის გამოცხადებიდან 1 თვის განმავლობაში.

6.5.12. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შესწორებული ვერსიის საბოლოო წარდგენის ვადა განისაზღვრება 12-18 თვით დოქტორანტის დისერტაციაზე დამატებით მუშაობის უფლების მინიჭებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი დაცვაზე აღარ დაიშვება.

## **მუხლი 6.6. დისერტაციის შეფასება**

6.6.1. დისერტაციის შეფასება ხდება საერთო საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად. დისერტაციის განხილვისა და შეფასების დამატებითი მოთხოვნები განისაზღვრება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ.

6.6.2. დაცვა ფასდება სადისერტაციო კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე დაცვის დასრულებისთანავე. დისერტაციისა და დაცვის შეფასებების საფუძველზე სადისერტაციო კომისია ადგენს საბოლოო შეფასებას.

6.6.3. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება: “დაიცვა/ვერ დაიცვა”.

6.6.4. დისერტაციის დაცვის შემთხვევაში საბოლოო შეფასება დგინდება შემდეგი სისტემის მიხედვით, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება:

summa cum laude – ფრიადი

magna cum laude – ძალიან კარგი

cum laude – კარგი

bene – საშუალო

rite – დამაკმაყოფილებელი

6.6.5. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აცნობს ზეპირად.

### **მუხლი 7. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება**

7.1. შესაბამის დარგში ფილოსოფიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

7.2. დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭება სადისერტაციო კომისიის მიერ დისერტაციის დაცვის ამსახველი შედეგების დასკვნის საფუძველზე.

### **მუხლი 8. დისერტაციის გამოქვეყნება**

8.1. დაცვის შემდეგ დისერტაცია უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. დისერტაციის ბეჭდური ვერსიის გამოცემას, აგრეთვე ელექტრონული ვერსიის განთავსებას უზრუნველყოფს თსუ-ს გამომცემლობა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შესაბამისი მიმართვის საფუძველზე.

8.2. აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა დისერტაციის ელექტრონული ან ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების შემდეგ.

### **მუხლი 9. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი**

9.1. დისერტაციის დაცვის და გამოქვეყნების შემდეგ დოქტორანტს გადაეცემა ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი შესაბამის დარგში. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომის გაცემის შემდეგ პირი უფლებამოსილია, იწოდებოდეს ფილოსოფიის დოქტორად.

9.2. დიპლომი შეიცავს დისერტაციის სახელწოდებას, დაცვის თარიღსა და საერთო შეფასებას. დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და მოწმდება უნივერსიტეტის ბეჭდით. დიპლომის ასლი ინახება თსუ არქივში.

9.3. თუ დისერტაცია მომზადდება უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში და დაცვა განხორციელდა თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ამ შემთხვევაში, მოწმობა უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ რომელი უნივერსიტეტები მონაწილეობდნენ აღნიშნულ პროგრამაში.

### **მუხლი**

### **10.**

### **ბათილობა**

სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენისა და აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობა არ გაიცემა ან ჩამოერთმევა. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

## თავი 7. უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამები

### მუხლი 7.1. უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამის სტატუსი

7.1.1. შესაძლებელია აკადემიური ხარისხის ერთობლივი მინიჭება უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში. ამ დებულებით უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამაში იგულისხმება ორი ან რამდენიმე უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სადოქტორო პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მონაწილეა თსუ, კერძოდ კი პოლიტიკურ და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტი.

7.1.2. უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამის განხორციელება წესრიგდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სხვა უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტორანტურის შექმნის შესახებ.

### მუხლი 7.2. განცხადება უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობის შესახებ

7.2.1 უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამის არსებობის შემთხვევაში დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკამაყოფილებდეს ამ პროგრამის ფარგლებში მონაწილე უნივერსიტეტების დოქტორანტურაში მიღების წინაპირობებს.

7.2.2 განცხადებას ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნდა დაერთოს პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი პროფესორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობა თემის თანახელმძღვანელობაზე.

### მუხლი 7.3. უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამის ფორმები უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამის ფორმებია:

- ერთობლივი ხარისხის მინიჭება;
- ერთობლივი სწავლების ორგანიზება;
- თანახელმძღვანელების არსებობა.

### მუხლი 7.4. უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამის დისერტაციის ხელმძღვანელი / თანახელმძღვანელები

7.4.1. უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში დისერტაციის ხელმძღვანელად ინიშნება ამ პროგრამაში მონაწილე ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროფესორი ან თანახელმძღვანელებად ინიშნებიან თითო პროფესორი ორივე უნივერსიტეტიდან.

7.4.3 დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია, დოქტორანტის თანახელმძღვანელებმა სადისერტაციო საბჭოს წარუდგინონ წერილობითი დასკვნა იმის თაობაზე, რომ ისინი გაეცნენ დისერტაციას და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.

7.4.3. თუ უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული დისერტაციის დაცვა დანიშნულია თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე დისერტაციის საქმის წარმოება და დისერტაციის დაცვის პროცედურა წარიმართება ამ დებულებით.

## თავი 8. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება

### **მუხლი 8.1 საპატიო დოქტორის წოდება**

8.1.1. სოციალურ მეცნიერებათა სფეროში განსაკუთრებული სამეცნიერო დამსახურების მქონე პირს შეიძლება მიენიჭოს საპატიო დოქტორის – დოცტორ ჰონორის კაუჯა (Dr.h.c.) - აკადემიური წოდება.

8.1.2. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წარდგინების საფუძველზე იღებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

### **თავი 9. გარდამავალი დებულებები**

9.1. გარდამავალი პერიოდი გრძელდება სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადებიდან 2 წელი.

9.2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად თსუ-ს ყველა მაძიებელმა და ასპირანტმა უნდა ჩააბაროს დოქტორანტურაში მინიმალური სტანდარტით განსაზღვრული წესით.

9.1.3. თსუ დოქტორანტურაში ჩარიცხული ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც მინიმუმის საგნები აქვთ ჩაბარებული ან/და აპრობაცია აქვთ გავლილი, თავისუფლდებიან მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების დაგროვებისგან. მათი დოქტორანტურაში ჩარიცხვა მოხდება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (გერმანული, ინგლისური ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენის შემდეგ. ამ სერტიფიკატის წარდგენა უნდა მოხდეს დოქტორანტურაში პირველი მიღების გამოცხადების დღიდან არაუმეტეს ორი წლის განმავლობაში. დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხორციელდება მინიმალური სტანდარტით დადგენილი წესით.

9.1.4. იმ კვლევითი ინსტიტუტების ასპირანტები, რომლებთანაც თსუ დადებული აქვს ხელშეკრულება, დოქტორანტები ხდებიან ამ პარაგრაფის პირველი მუხლის შესაბამისად.

9.1.5. თსუ-ს ის ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც შესრულებული აქვთ ამ დებულებით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი და არა აქვთ ჩაბარებული მინიმუმის გამოცდები, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ მინიმალური სტანდარტით დადგენილი წესით.

### **თავი 10. დასკვნითი დებულებები**

#### **მუხლი 10.1 დებულების ძალაში შესვლა**

10.1.1. წინამდებარე დებულებაში დამატებისა და ცვლილების შეტანის შესახებ წინადადების დასმის უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერ წევრს. დასაბუთებულ წინადადებას განიხილავს სადისერტაციო საბჭო უახლოეს სხდომაზე და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. დებულებაში შეტანილ ყველა დამატებასა და ცვლილებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

10.1.2. ეს დებულება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

